ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 292334013**
თარიღი:**06/12/2023**

,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 14 თებერვლის Nგ- 29.29230453 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქრთველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 14 თებერვლის Nგ-29.29230453 განკარგულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1.განკარგულების დანართის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,მუხლი 3. პროგრამის სამიზნე ჯგუფი:

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე გამოკვეთილი, თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე შემდეგი ბავშვიანი ოჯახები:

ა) ოჯახები, რომელთაც ყავთ 4 და მეტი ბავშვი;

ბ) მიტოვების რისკის მქონე ბავშვიანი ოჯახები;

გ) ოჯახები, რომელთაც ყავთ შშმ ბავშვი/ბავშვები;

დ) ობოლი ბავშვები;

ე) ასევე ის ბავშვები, რომელთაც ჰყავთ შშმ მშობლები;

ვ) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახები;

2. განკარგულების დანართის მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,მუხლი 6. დახმარების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია:

ა) ბავშვის/ბავშვების დაბადების მოწმობა/მოწმობები;

ბ) მშობლის/ბავშვის შშმ სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) მშობლის/მშობლების გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) მშობლის საბანკო ანგარიშის ნომერი;

ე) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველი, ბავშვიანმა ოჯახებმა ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;“

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი